ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11926149001**

თარიღი:**29/05/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, 38-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საკონკურსო კომისია.

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი თამარ ცქიტიშვილი.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს განსაზღვროს კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა.

4. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე საკონკურსო კომისიის საქმიანობის დეტალური წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი